

საგადასახადო დავების პრაქტიკის გზამკვლევი

ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი მომზადებული
PwC საქართველოს საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის მიერ

29 მარტი 2019
გამოცემა #4



PricewaterhouseCoopers (PwC) საქართველო გთავაზობთ საგადასახადო დავების პრაქტიკას შემოსავლების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ გამოცემული გადაწყვეტილებების საფუძველზე. ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ საკითხის ფაქტობრივ გარემოებებს, დავის მონაწილე მხარეთა არგუმენტებს და დავის განმხილველი ორგანოების მიერ მიღებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს. არსებული გამოცემა ატარებს მხოლოდ ზოგად საინფორმაციო ხასიათს არსებულ საკითხებზე და არ წარმოადგენს პროფესიულ რჩევას.

მიმოვიხილავთ შემდეგ საკითხებს:

**საკითხი #1: მცირე მეწარმისაგან მიღებულ
მომსახურებაზე გადახდილი თანხების
ხელფასად დაკვალიფიცირება**

**საკითხი #1: მცირე მეწარმისაგან მიღებულ
მომსახურებაზე გადახდილი თანხების ხელფასად
დაკვალიფიცირება**

საკითხის ფაქტობრივი გარემოებები

კომპანია ახორციელებს ბეტონის წარმოება-რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე და ეწევა სამშენებლო მომსახურებას. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში კომპანიას მომსახურებას (სატრანსპორტო, ექსპერტიზის და საგზაო-სამშენებლო მომსახურება) უწევენ მცირე მეწარმედ დარეგისტრირებული ფიზიკური პირები.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან მცირე მეწარმედ რეგისტრირებული პირების მიერ მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი იბეგრება 1%-იანი განაკვეთით და არ ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას.

აუდიტის დეპარტამენტის პოზიცია

საგადასახადო შემოწმებით დადგინდა, რომ მცირე მეწარმეების ერთ ნაწილს დეკლარირებული შემოსავალი მიღებული აქვს კომპანიისათვის გაწეული მომსახურებიდან (რაც ირკვევა კიდეც მათ მიერ დეკლარირებული საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციით და ასევე, მცირე მეწარმეების წერილობითი ახსნა- განმარტებებით), ხოლო მეორე ნაწილს დამატებით უფიქსირდება სხვა შემოსავალიც.

აუდიტის დეპარტამენტის პოზიციით, ოპერაციის ფორმა არ შეესაბამებოდა მის შინაარსს. შემოწმებამ შეცვალა ოპერაციის კვალიფიკაცია და აღნიშნული პირების მიერ შესრულებულ მომსახურებაზე გადახდილი თანხები განიხილა ხელფასად. შესაბამისად დაიბეგრა საშემოსავლო გადასახადით გადახდის წყაროსთან 20%-იანი განაკვეთით. შედეგად კომპანიას დაეკისრა ძირითადი გადასახადი შესაბამის სანქციებთან ერთად.

კომპანიის არგუმენტაცია

კომპანიის არგუმენტაციით გაწეული მომსახურებისათვის გადახდილი თანხები დაუშვებელია ჩაითვალოს ხელფასად შემდეგი გარემოებების გამო:

- კომპანია საქმიანობის პროცესში იყენებს როგორც მუდმივი დაქირავებული თანამშრომლების შრომას, ასევე ცალკეული ინდივიდუალური თუ სახელმწიფო დაკვეთის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, აფორმებს ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულებებს არადაქირავებულ პირებთანაც. აღნიშნული პირები კომპანიას საკუთარი რისკით უწევენ კონკრეტული ხელშეკრულებებით განსაზღვრულ მომსახურებას და იღებენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოების მიხედვით. ოპერაციებზე ფორმდებოდა შესაბამისი მიღება- ჩაბარების აქტები და სხვა არავითარი შრომითი ურთიერთობა ან/და უფლება-მოვალეობანი მათ კომპანიის მიმართ არ გააჩნიათ. ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, კანონმდებლობის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობით არის შედგენილი აღნიშნული ხელშეკრულებები.

- მცირე მეწარმის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებს კომპანიიდან მიღებულ შემოსავლებზე შესრულებული აქვთ საგადასახადო ვალდებულება - დეკლარირებული და გადახდილი აქვთ კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი. შემოწმებით კი მათ მიერ მიღებული დასაბეგრი თანხა ჩაითვალა ხელზე მიღებულ ხელფასად და ე.წ. „აგროსვის“ მეთოდით კიდეც ზემოდან დაიბეგრა 20%-ით. შედეგად, მათ მიერ მიღებულ თანხაზე ჯამურად ბიუჯეტში გადასახდელად დაერიცხათ გადასახადი 30%-ის ოდენობით.

კომპანიის განმარტებით, შემოწმებელთა მიერ მედიაციის წესით საკითხის განხილვისას დამატებით აღინიშნა, რომ ოპერაციის კვალიფიკაციის ცვლილება განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: ფიზიკურ პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მცირე ბიზნესის სტატუსი და სურთ დასაქმება, კომპანიის მიერ ხდება მათი საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანა, სტატუსის მინიჭება და მხოლოდ ამის შემდგომ კომპანიაში დასაქმება სხვადასხვა პოზიციაზე. აღნიშნული პირების ნაწილს შემოსავალი მიღებული აქვთ მხოლოდ კომპანიისაგან. ზემოთხსენებული გარემოებიდან გამომდინარე მიჩნეული იქნა, რომ პირები წარმოადგენენ კომპანიის მიერ დაქირავებულ პირებს და იღებენ ანაზღაურებას. კომპანიის პოზიციით:

- საგადასახადო კოდექსით დადგენილია დაბეგვრის სპეციალური რეჟიმები მიკრო და მცირე ბიზნესისათვის. დაბეგვრის ამ რეჟიმის დაწესების მიზანია ქვეყანაში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. კანონქვემდებარე აქტებით ასევე დადგენილია ცალკეული საქმიანობების ჩამონათვალი, რომლის ფარგლებშიც აკრძალულია მცირე ბიზნესის სტატუსით სარგებლობა. კომპანიის მიერ ამ სტატუსის მქონე პირებიდან მიღებული არცერთი მომსახურება არ არის ჩამონათვალში.
- ოპერაციისათვის კვალიფიკაციის შეცვლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, როდის მიენიჭათ ამ პირებს ეს სტატუსი და უფიქსირდებოდათ თუ არა ამავე

სტატუსის შესაბამისად მომსახურების გაწევა სხვა დამკვეთებთან. მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფაქტს, რომ აღნიშნულ პირებთან ფორმდება ერთჯერადი მომსახურების გაწევაზე ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს გარდა მათ მიერ რაიმე სხვა ფორმის ურთიერთობა კომპანიასთან (რაიმე „პოზიციაზე“ დასაქმება) არ არსებობს.

- რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ აღნიშნული პირების ნაწილს საგადასახადო რეგისტრაციის და სტატუსის მინიჭების პროცედურა გავლილი აქვთ უშუალოდ ხელშეკრულების გაფორმებამდე, ასეთი სახის მომსახურების გამწევის მიერ სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება მათ მიერ ხელზე ასაღები თანხიდან (გადასახადების გარეშე). შესაბამისად, ანაზღაურებაზე მოლაპარაკებისას რა თქმა უნდა ხდება დაფიქსირება იმ პოზიციისა, რომ კომპანიისათვის უფრო ოპტიმალურია აღნიშნული სტატუსის მქონე პირებთან ურთიერთობა და მათი მხრიდანაც უკვე ამის შემდგომ ხდება გადაწყვეტილების მიღება სტატუსთან დაკავშირებით, რაც არანაირად არ იზღუდება მოქმედი კანონმდებლობის არცერთი ნორმით.
- ამასთან, სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობისას ხარჯთაღრიცხვის და შესასრულებელი სამუშაოს შესათავაზებელი ფასის განსაზღვრა ხდება სწორედ ამ სტატუსის მქონე პირებიდან მიღებული მომსახურების ღირებულებების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის არგუმენტაციით შემოწმებას არ გააჩნდა არავითარი სამართლებრივი საფუძველი, აღნიშნული პირები განეხილა დაქირავებულ თანამშრომლებად. მხარეები აღნიშნულ შემთხვევაში მოქმედებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების ფარგლებში და მათ შრომით ხელშეკრულებებთან არანაირი საერთო არ გააჩნიათ, რაც გამორიცხავს მათ დაქირავებულ თანამშრომლებად განხილვას.

დავის განმხილველი ორგანოების გადაწყვეტილებები

საკითხი თავდაპირველად განიხილა შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც მიიჩნია რომ აუდიტის დეპარტამენტის პოზიცია იყო მართლზომიერი და საჩივარი არ დააკმაყოფილა.

დავა გაგრძელდა ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში. საბჭომ დაადგინა რომ შემოწმების აქტიდან და შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით არ იკვეთება და დასაბუთებული არ არის ოპერაციის კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველი. ასევე, აღნიშნა რომ არგუმენტად მითითებულია მხოლოდ ის გარემოება, რომ კომპანიას მომსახურებას უწევენ მცირე მეწარმედ დარეგისტრირებული პირები. საბჭომ გადაწყვიტა, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ სათანადოდ არ იყო შესწავლილი და შეფასებული სადავო საკითხი. კერძოდ, შესწავლას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

- რა ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე დაყრდნობით მიიჩნია შემოწმებელმა მცირე მეწარმეებად რეგისტრირებული პირების მიერ გაწეული მომსახურება დაქირავებით მომუშავე პირების მიერ შესრულებულ სამუშაოდ;
- არსებობს თუ არა მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, რით დასტურდება, რომ წარმოადგენდნენ დაქირავებით მომუშავე პირებს;
- ასრულებდნენ თუ არა აღნიშნული პირები სამუშაოს, კომპანიის კუთვნილი ძირითადი საშუალებებით, ჰქონდა თუ არა ადგილი კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (სახარჯი მასალის) გამოყენების ფაქტს.

ზემოთხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, საბჭომ შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა და საჩივარი ხელახლა განსახილველად დაუბრუნა შემოსავლების სამსახურს.

წყარო: ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება #7248/2/2019

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ქსელი მსოფლიოს მასშტაბით შედგება 255,000 პროფესიონალისგან, რომლებიც დასაქმებული არიან 158 ქვეყნის 756 ოფისში.

ჩვენ გთავაზობთ ეფექტურ, ინოვაციურ და პრაქტიკულ საგადასახადო კონსულტაციას, რომელიც მორგებული იქნება თქვენს კონკრეტულ ბიზნეს საჭიროებებზე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ჩვენი ცოდნის გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია გადავჭრათ თქვენი პრობლემები და შევიტანოთ სიცხადე დაბეგვრის საკითხებთან დაკავშირებით.

PwC საქართველო საგადასახადო მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებას, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, საგადასახადო დავებში წარმომადგენლობას, საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებთან მიმართებით კონსულტაციებს, საგადასახადო სტრუქტურირებას და სხვა.

PwC საქართველოს საგადასახადო დავების გადაწყვეტის პრაქტიკა შედგება საერთაშორისო და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის წამყვანი სპეციალისტებისგან გამოცდილი როგორც ფინანსთა სამინისტროს სისტემის ფარგლებში საგადასახადო დავების გადაწყვეტაში ასევე სასამართლო პროცესებში. ჩვენ მზად ვართ დავებმართოთ კომპანიებს, როგორც საგადასახადო შემოწმების ყველა ეტაპზე, ასევე გასაჩივრების სტადიაზე, რომელიც მოიცავს:

- საგადასახადო რისკების აღმოჩენა და საგადასახადო შემოწმებისთვის მომზადება;
- მხარდაჭერა საგადასახადო შემოწმების დროს;
- საგადასახადო შემოწმების შედეგების გასაჩივრება;
- საგადასახადო ზედმეტობის დაბრუნებაში დახმარება.

ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ დავების გადაწყვეტილებებს თქვენს ბიზნესზე



სერგი კობახიძე

დირექტორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა

ტელ.: (+995 32) 250 80 50

ელ.ფოსტა: sergi.kobakhidze@pwc.com



გიორგი ჭანტურიძე

უფროსი საგადასახადო მენეჯერი

ტელ.: (+995 32) 250 80 50

ელ.ფოსტა: george.chanturidze@pwc.com



ლადო ჭაბაშვილი

საგადასახადო მენეჯერი

ტელ.: (+995 32) 250 80 50

ელ. ფოსტა: lado.chabashvili@pwc.com



თორნიკე წიკლაური

უფროსი საგადასახადო კონსულტანტი

ტელ.: (+995 32) 250 80 50

ელ.ფოსტა: tornike.tsiklauri@pwc.com

PwC-ში, ჩვენი მიზანია რომ შევექნათ სანდოობა საზოგადოებაში და გადავჭრათ მნიშვნელოვანი საკითხები. ჩვენ ვართ კომპანიათა ქსელი, რომელიც წარმოდგენილია 158 ქვეყანაში 255,000-ზე მეტი პროფესიონალით, რომლებიც მოწოდებული არიან, რომ შეიტანონ ხარისხი აუდიტორულ, საკონსულტაციო და საგადასახადო მომსახურებაში. შეიტყვეთ უფრო მეტი შემდეგ საიტზე www.pwc.com და გვაცნობეთ თუ რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი. PwC გულისხმობს წევრ კომპანიას საქართველოში, რომელიც წარმოადგენს ცალკე იურიდიულ პირს. მეტი დეტალი ჩვენი სტრუქტურის შესახებ შეგიძლიათ შეიტყოთ შემდეგ მისამართზე www.pwc.com/structure.

© 2019 შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო. ყველა უფლება დაცულია.

